პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТИ ГАМОДИС 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 68 (19505) ◆ ოთხშაბათი, 12 მარტი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

☐ დროზე, აბრეშუმეულებში ვთესოთ, საფუძველი მოვუმზადოთ უხვ მოსავალს!

☐ 15-16 მარტს ეწყობა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-ტრაქტორთა პარკის მზადყოფნის რესპუბლიკური დათვალიერება. ყოველმხრივ მომზადებული შეეხვდეთ მას.

ᲗᲔᲡᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲐᲓᲠᲔᲗ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ

მარნეული. (საკ. კორ.). რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა საადრეო კარტოფილის თესვა, მინდვრად პირველნი გავიდნენ გამარჯვების მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები ს. ჩობანოვი, ს. ნაზლიევი, ს. მუხაევი და სხვები. ისინი „მტზ-80“ მარკის ტრაქტორებით დღეში საშუალოდ გეგმის გადამეტებით 1-1,5 ჰექტარზე თესავენ კარტოფილს. ითესება კარტოფილის უხვმოსავლიანი ჯიშები.

გამარჯვების მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობა ერთადერთია რაიონში, რომელიც წლების მანძილზე გადაჭარბებით ასრულებს საადრეო კარტოფილის მოსავლიანობისა და წარმოების დავალებას. შარშან 450 ჰექტარზე საშუალოდ 120 ცენტნერი კარტოფილი მიიღეს — გეგმით გათვალისწინებულზე 5 ცენტნერით მეტი. მეკარტოფილეობაში მიღწეული წარმატებისათვის მეურნეობა დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. წელს საადრეო კარტოფილის ნათესი ფართობი მეურნეობაში 50 ჰექტარით იზრდება და 500 ჰექტარს გადააჭარბებს, თითოეულ ჰექტარზე მოიყვანენ 150 ცენტნერ კარტოფილს. ეს მიღწეული იქნება პროგრესული მეთოდების დანერგვის წყალობით. მაგალითად, მეურნეობა გადავიდა შრომის ორგანიზაციის იჯარული მეთოდზე, კარტოფილის მოყვანის ყველა შრომატევადი პროცესი მექანიზებულია.

საადრეო კარტოფილის თესვას რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ, შექმნილია თესლის სადაზღვევო მარაგი. კარტოფილის დასათესად განკუთვნილი 2.750 ჰექტარი მიწა მოხნულია მზრალად და გაპოხიერებულია სასუქებით, თესვის წინ მიმდინარეობს გადახვნა და ნიადაგის გაფხვიერება.

საადრეო კარტოფილის თესვას შეუდგნენ აგრეთვე ბოლნისის რაიონის მშრომელები. საქართველოს მეურნეობებმა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად ვალდებულება იკისრეს დაამზადონ 85 ათასი ტონა საადრეო კარტოფილი.

Ш. ᲐᲘᲕᲐᲖᲝᲕᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲔᲑᲖᲔ: მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „გამარჯვების“ მოწინავე მექანიზატორი არის ბახშიევი; საადრეო ჯიშის კარტოფილის თესვა „გამარჯვების“ საბჭოთა მეურნეობაში.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ ᲙᲕᲔᲑᲐᲕᲡ

ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲡ — ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

15-16 მარტს ეწყობა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-ტრაქტორთა პარკის მზადყოფნის რესპუბლიკური დათვალიერება. რა არის მისი მიზანი? ამის შესახებ გვესაუბრება რესპუბლიკის სახაგრომრეწვის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. ყაზბაშვილი.

— უწინარეს ყოვლისა, — თქვა მან, — უნდა გამოვავლინოთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მომზადების ნაკლოვანებები, ოპერატიულად დავიხმაროთ ჩამორჩენილ მეურნეობებს. ჯერ კიდევ სეზონის დამდეგს სახაგრომრეწვამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც საფუძვლად დაედო თითოეულ მეურნეობაში სარემონტო სამუშაოთა გეგმებს. დროულად განხორციელდა სათადარიგო ნაწილებით, სხვა საჭირო მასალებით სახელოსნოების უზრუნველყოფის ღონისძიებანი. ტექნიკის რემონტში ჩავაბით ყველაზე კვალიფიციური მუშაკები. პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად რაიონებში მივავლენთ სახაგრომრეწვის სპეციალისტები.

რას უნდა მივაქციოთ დათვალიერების დროს განსაკუთრებული ყურადღება? უწინარეს ყოვლისა, მანქანების მარკების მიხედვით შეკეთებას, აგრეგატებითა და კვანძებით ტექნიკური პუნქტების უზრუნველ ყ ო ფ ა ს, საგაზაფხულო თესვის დღეებში ორცვლიანი მუშაობისათვის სტაციონარული და მოძრავი სარემონტო სახელოსნოების მზადყოფნას.

დათვალიერების ერთ-ერთი პირობაა მანქანების, ტრაქტორების შენახვის სწორი ორგანიზაცია, მანქანა-ტრაქტორთა პარკის საწვავ-საპოხი მასალებით უზრუნველყოფა.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი უნდა იყოს მეურნეობების, პარტიული, საბჭოთა ორგანების ხელმძღვანელთა უურადღების ცენტრში. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დათვალიერების ორგანიზებულ გამართვაზე დამოკიდებული იქნება ტექნიკის დროული გასვლა მინდვრად, მოსავლის ბედი.

(საქინფორმი).

ᲗᲔᲡᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲐᲓᲠᲔᲗ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲩᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ, ხალისიანი განწყობილება აქვთ საბჭოთა ადამიანებს. ისინი ცხოვრობენ სკკპ XXVII ყრილობის შთაბეჭდილებებით, რომელიც ისტორიულ ნიშანსვეტად შევა საბჭოეთის ბიოგრაფიაში. ფართოდ, ლენინურად გაიაზრა ყრილობამ ახლანდელი დრო. მან დადებითად შეაფასა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მიერ წამოყენებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გეზი. შემუშავებულია კომუნისტების, ყველა შრომელის მოქმედების რეალისტური, ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი პროგრამა. ყრილობის გადაწყვეტილებანი განსაზღვრავენ ჩვენი წინსვლის ხასიათსაც და ტემპსაც.

მიღწევებს კომუნისტურ მშენებლობაში, წარმატებებს მშვიდობისათვის ბრძოლაში, რომლებიც ლაპარაკი იყო სკკპ XXVII ყრილობის ტრიბუნიდან, საბჭოთა ხალხი განუურლად უკავშირებს მშობლიურ პარტიას. ყრილობის შემდგომ პერიოდს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აწყობს მილიონთა კოლექტიური სიბრძნით გამდიდრებული, უფრო ორგანიზებული, შეკავშირებული და ბრძოლისუნარიანი. მისი ხელმძღვანელი როლის შემდგომ გადიდებას, ყველა უბანზე გავლენის გაძლიერებას ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის წესდების დებულებათა განხილვა.

პარტიულ ორგანიზაციათა, კომუნისტთა მთავარი ამოცანაა თითოეულ საბჭოთა ადამიანს გააცნონ ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა არსი და სულისკვეთება, პრაქტიკულად მოაწყონ მუშაობა მათი შესრულებისათვის. ახლა უაღრესად საჭიროა ჩანაფიქრთა ენერგია კონკრეტულ საქმედებათა ენერგიად გადავაქციოთ.

დასახულ ამოცანათა სიახლე, მასშტაბურობა და ორთოლე კომუნისტებისაგან, ყველა პარტორგანიზაციისაგან — რესპუბლიკური იქნება ეს თუ ოლქიური — მოითხოვს მტკიცე მეცადინეობას, ინიციატიულობას, ბერგლეიანობასა და თავდადებას. უპირველესი მნიშვნელობის საქმეა ძირფესვიანად გარდაქმნით პარტიული მუშაობა, ყველაზე დავამკვიდროთ შემოქმედების, პრინციპულობისა და მომთხოვნელობის ატმოსფერო. ჩვენ ვერც ერთი ნაბიჯით ვერ წავიწევთ წინ, თუ ვერ ვისწავლეთ ახლებურად მუშაობა, თუ ვერ დავძლიეთ ჩამოჩამჩენილობისა და კონსერვატიზმის ელემენტები, თუ არ გვეყო ვაჟკაცობა ფხიზლად შევაფასოთ ვითარება.

„ყრილობის დებულებათა შესასრულებლად მიმდინარე მუშაობის ორგანიზატორები არიან პარტიული კომიტეტები, ყველა კომიტეტი — თავიდან ბოლომდე. — აღნიშნა ყრილობის დახურვის დროს წარმოთქმულ სიტყვაში მ. ს. გორბაჩოვმა. — სტილი, რომელიც ახლა გვმართებს, — ეს არის ორგანიზულობა, საქმიანი მიდგომა, თანამიმდევრულობა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ყველაზე ეფექტიანი მეთოდებისა და საშუალებების არჩევა, ადამიანთა მოსაზრებების საგულდაგულო გათვალისწინება, მთელი საზოგადოებრივი ძალების მოქმედების მარჯვე კოორდინირება“.

ყრილობის ერთ-ერთი მთავარი დასკვნა ის არის, რომ ყველა პარტიული კომიტეტი უნდა მოქმედებდეს როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის სამდგომი ორგანო. არ უნდა ურევდეს ფუნქციებს, არ ეწიოდეს სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მაგივრობასა და ჭვრიტმან მეურვეობას. დასახულია ამოცანა ბოლომდე დავძლიოთ ინერტულობა. ჩვენ — ცოცხალი საქმე ჩავიროთ ფუძე და საყრდენად ლაყბობაში. გადაჭრით უნდა მოიცილოთ თავიდან ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი, შაბლონი და გულგრილობა, ცდები „გარეკვაქმნას მიეტმასნონ“, დაუხრულებელი აღთქმები და დაპირებანი. ნათქვამსა და გაკეთებულს შორის ყველგვარი განსხვავება ზიანს აყენებს პარტიული კომიტეტის ავტორიტეტს და მას ვერ შეეფარდებით ვერავითარი ფორმით. საჭიროა, რომ თითოეული კომუნისტი მინდობილ უბანზე მოქმედებდეს პროფესიულად, სრული უკუგებით.

პარტიულ ორგანიზაციათა ჯანსაღი, ნორმალური ცხოვრება ეარმოოდგენელია, თუ მკაცრად არ დაიცავთ შინაპარტიულ დემოკრატიას, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპს. ამას გვიკარნახებს: კოლექტიური ორგანობის—პარტიული კომიტეტების პლენუმების, ბიუროების, პარტიული ორგანოების როლის გადიდების საჭიროება. ყრილობამ მოგვიწოდა გავაძლიერით შესრულების კონტროლი და შემოწმება, განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გავაძლიეროთ ბრძოლა პარადუნობის, ყოყოჩობის წინააღმდეგ. უფრო გადაჭრით უნდა აღკვეთოთ კრიტიკის, მისთვის დევნის უფლებაც. იქ, სადაც არ გაისმის მომთხოვნელი სიტყვა, ხდება პარტიული მუშაობის დეფორმაცია, იქმნება გულარხეინობისა და დაუსჯელობის ატმოსფერა. ამას მოსდევს მოდუნება საქმეებში და მუშაკთა გადაგვარება. პარტიაში არ შეიძლება იყოს ორგანიზაციები კონტროლის გარეშე, როლებიც დახურული იქნება კრიტიკისათვის.

ყველელ საქმეს ადამიანი წარმართავს. ჩვენ ბევრი ვარგა, ნიჭიერი ხელმძღვანელი გვყავს. უკანასკნელ ხანს ბევრი პასუხსაგები უბანი განმტკიცდა ნერგიული, მოწიფული, ინიციატივიანი მუშაკებით. პარტიული კომიტეტების ვალია კვლავაც აუმაღლესებდნენ კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას. ვერ შევუოიგდებით ჯერ კიდევ არსებულ ჩვენთვის უცხო პროტექციონიზმს, პირადი ერთგულებისა და კუთხურობის ნიშნებით მუშაკთა შერჩევიანობის პრაქტიკას. ყველა დაწინაურებისა და დანიშვნის ერთი კრიტერიუმი არსებობს: მუშაობის პოლიტიკური და საქმიანი თვისებები, რეალური მიღწევები, უნარი აქტიურად განახორციელოს პოლიტიკური გეზი. ხელმძღვანელისათვის ორგანულად უნდა იყოს დამახასიათებელი იდეური სიმტკიცე, მყარი მორალური მრწამსი, მაღალი პოლიტიკური კულტურა, პრინციპულობა და კომპეტენტურობა, უნარი — წარმართვდეს კოლექტიურ მუშაობას, მუდმივი მოთხოვნილება—ტრიალებდეს მასების შუაგულში, ცხოვრობდეს ადამიანთა ინტერესებითა და საჭიროებებით.

ყველგან საქმიანი, შემოქმედებითი სტილის დამკვიდრებაში პასუხსაგები როლი ეკისრებათ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი მოქმედებენ მასების შუაგულში, იქ, სადაც პოლიტიკური გადაწყვეტილებანი პრაქტიკის ენაზე ითარგმნება. თუ პარტიული ორგანიზაცია სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს, რომელიც პრინციპულ ურთიერთობაზეა დაფუძნებული, თუ კომუნისტები კონკრეტულ საქმეებს აკეთებენ, წარმატებაც უზრუნველყოფილია. პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან ყოველნაირად ზრდიდნენ ამ რგოლების მებრძოლურობას. იღვწოდნენ, რომ თითოეული ორგანიზაციაში უზრუნველყოფილი იყოს შემოქმედებითი ატმოსფერო, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება გულახდილობა, ჩანაფიქრთა და გადაწყვეტილებათა საჯაროობა, ურთიერთმომთხოვნელობა.

ყრილობაზე ახალი ძალით გაისმა ლენინის აზრი იმის შესახებ, რომ უნდა გავზარდოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა, რომ საჭიროა ბრძოლა პარტიელის სპეტაკი და პატიოსანი სახისათვის. ითქვა, რომ განვლილი წლების მანძილზე პარტიულ რიგებს შეემატა ახალი ძალები, რომლებიც მზად არიან თავდადებით ემსახურონ კომუნისტურ საქმეს. მით უფრო შეუწყნარებელია ახალი შევსების შერჩევის დროს მომთხოვნელობის შესუსტების ფაქტები. ჩვენი ამოცანაა დაუცხრომლად ვზრუნავდეთ პარტიის რიგების სიწმინდისათვის, საიმედოდ დავიცვათ პარტია შემთხვევითი ადამიანებისაგან, უზრუნველვყოთ პარტიის წევრთა პირადი მაგალითი. როგორც ცნობილია, არ არსებობს კომუნისტთა ავანგარდული როლი ზოგადად, იგი გამოხატება კონკრეტული საქციელით, პრაქტიკული საქმეებით, საზოგადოებრივი მოვლენების უნაკლო შესრულებით. ყრილობამ გვიჩვენა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ იმ პარტიულ ორგანიზაციათა გამოცდილება, სადაც რეგულარულად ეწყობა კომუნისტთა ანგარიშები თავიანთი ამხანაგების წინაშე, კრებებზე განიხილება და მტკიცდება პარტიული დახასიათებები. ყოველივე ეს ხელს უწყობს პარტიის უკლებლივ ყველა წევრის პასუხისმგებლობის განმტკიცებას.

პარტიის მიერ აღებული პოლიტიკური კურსი ხელშემწყობ შესაძლებლობებს ქმნის იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის. მაგრამ აქ კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, კამპანიურობა, ცხოვრებისაგან პროპაგანდის მოწყვეტა და მომწიფებული პრობლემების სიმწვავის შეუფასებლობა, სქოლასტიკისა და მჭვრეტელობის ელემენტები. საჭიროა აღმშრალელობითი მუშაობა შევუსაბამოთ საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების რეალობებს, დავუკავშიროთ იგი ორგანიზატორულ და სამეურნეო საქმიანობას.

იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარ ორიენტირად ყრილობამ მიიჩნია მშრომელთა აღზრდა კომუნისტური იდეურობისა და საბჭოთა სამშობლოს, პროლეტარულ, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ერთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების, ყოველივე იმისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, რაც სოციალიზმისათვის უცხოა. კომუნიზმის მშენებლობა იდეურობა განუყოფელია ალალმართლობისაგან, ნამუსიანობისა და წესიერებისაგან. კომუნისტები მოვალენი არიან ეწიოდნენ შეტევითს ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის, იმპერიალიზმის ანტისაბჭოთა პროპოგაციებისა და იდეოლოგიური დივერსიების, იმ ცდების წინააღმდეგ, რომ რელიგია გამოიყენონ ანტისოციალისტური მიზნით. უნდა უზრუნველვყოთ კომპლექსური მიდგომა აღზრდის საქმისადმი. მთელი მუშაობის ცენტრში დავაყენოთ კონკრეტული ადამიანი, მივაღწიოთ აღზრდის ერთიანობას წარმოებაში, სწავლაში და საცხოვრებელ ადგილას. სწორად იქცევიან იქ, სადაც უზრუნველყოფენ ყველა ხელმძღვანელის მონაწილეობას იდეოლოგიურ მუშაობაში.

ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს. ეს არის საჭაროობის საზოგადოებრივი კონტროლის მძლავრი ინსტრუმენტი. პრესა, რადიო, ტელევიზია უნდა ამაღლებდნენ თავიანთი გამოსვლების დონეს და ქმედითობას. გვერდს არ უვლიდნენ მწვავე თემებს, განსახილველად სვამდნენ ყველაზე საჭირბოროტო პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა ხელს უწყობს საქმის გაუმჯობესებას. ეს მუშაობა მით უფრო ნაყოფიერია, რაც მეტია მასში დაკვირვება და ოპერატიულობა.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებული გეგმები ჩვეულებრივი კი არა, გაბედული გეგმებია. საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეასრულონ დასახული. ამას მოწმობს იმ წერილებისა და დეპეშების ნაკადი, რომლებიც ახლა რედაქციაში მოდის. გაჩაღებული შეჯიბრების ავანგარდში კომუნისტები არიან. ისინი აღმშენებლობითი მუშაობის წინა ხაზზე დგანან, გვიჩვენებენ ხალხის წინაშე თავიანთი მოვალეობის განუხრელი შესრულების, თავდადების მაგალითს. ეს არის იმის საწინდარი, რომ ყრილობის გადაწყვეტილებანი წარმატებით განხორციელდება.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

სკკპ წესდება პარტიის ცხოვრების კანონია. შეეუსატყვისოთ მისი დებულებანი სკკპ პროგრამის ახალ რედაქციას, პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში ლენინური მოხსენების დებულებებს — ეს არის დედაარსი წესდებაში შეტანილი ცვლილებებისა, რომლებიც ყრილობამ დაამტკიცა,— აღინიშნა პრესკონფერენციაზე, რომელიც 10 მარტს გაიმართა მოსკოვში საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის და მიეძღვნა სკკპ წესდებას.

პრესკონფერენციაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების კონსულტანტთა ჯგუფის ხელმძღვანელი ი. ა. შეეცი. აღინიშნა, რომ სკკპ პროგრამა და წესდება ის დოკუმენტებია, რომლებსაც პარტიის მთელი საქმიანობა ეფუძნება, უდავოდ, ღირსშესანიშნავია ის, რომ ეს ორი დოკუმენტი ერთდროულად მიიღო ყრილობამ. წესდების ცვლილებათა მიზანია უზრუნველყონ პარტიის შემდგომი იდეური და ორგანიზაციული განმტკიცება, მის ყველა რგოლში მუშაობის დონის ამაღლება და, საბოლოო ანგარიშით, შეუქმნან პირობები საბჭოთა საზოგადოებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდას.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წესდება ამკვიდრებს პარტიის კლასობრივი ბუნების უცვლელობას, ამტკიცებს მისი ორგანიზაციული აგებულებისა და მთელი საქმიანობის ლენინური პრინციპების ურყეობას. ეს პრინციპები, რომლებსაც ჩვენი პარტიის წესდება ემყარება, უცვლელი რჩება. მათ შემდგომი განვითარება და დაკონკრეტება პოვეს პარტიის საქმიანობის თანამედროვე ეტაპთან, მისი განვითარების ახალ ეტაპთან შეფარდებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური პრინციპების ერთგულება, პარტიული ცხოვრების ნორმების თანამიმდევრული დაცვა მიაჩნია მთელი თავისი საქმიანობის წარმატების გადამწყვეტ წანამძღვრად.

წესდებაში შეტანილ ცვლილებათა მიზანია ხელი შეუწყონ დემოკრატიზმის შემდგომ გაღრმავებას პარტიის საშინაო ცხოვრებაში, მისი მუშაობის მეთოდებში, მასებთან პარტიის კავშირის შემდგომ განმტკიცებას, საერთო საქმისათვის კომუნისტების, პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

დაახასიათა რა წესდების ზოგიერთი ცვლილება, ორატორმა აღნიშნა პრინციპული მნიშვნელობის მომენტი: სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად ეს ცვლილებანი უფრო სრულად ასასიათებენ ჩვენი პარტიის როლსა და ადგილს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, წარმოაჩენენ მის ინტერნაციონალურ ხასიათს.

პარტიული მშენებლობის ძირეული საკითხია პარტიის წევრობის საკითხი. წესდებაში შეტანილი ცვლილებანი აძლიერებენ მომთხოვნელობას პარტიაში შემსვლელი პირებისადმი, მათს პასუხისმგებლობას იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სახავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროცესში. პარტიაში მიღება განხორციელდება, როგორც წესი, ღია პარტიულ კრებებზე უპარტიოთა მონაწილეობით. ეს პრაქტიკა უკვე კარგა ხანია არსებობს და ახლა იგი წესდებით არის დამკვიდრებული. ეს მოწმობს ჩვენი პარტიის ღრმა დემოკრატიზმს, მის მისწრაფებას თავისი შემადგენლობის ფორმირების დროსაც კი მოეთათბიროს ხალხს, უპარტიოებს.

არსებითი ცვლილებანია შეტანილი პარტიის წევრის მოვალეობათა დებულებებში. მათი მიზანია კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს კომუნისტთა როლი და პასუხისმგებლობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, წარმოების ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანების გადაწყვეტაში.

სკკპ წესდებაში შეტანილ ცვლილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება პარტიის ორგანიზაციისა და საქმიანობის დემოკრატიულ პრინციპებს. ახლა წესდებაში უფრო სრულად არის ჩამოყალიბებული ის დებულება, რომ დემოკრატიული ცენტრალიზმი პარტიის მთელი ცხოვრებისა და საქმიანობის ორგანიზაციული აგებულების ხელმძღვანელი პრინციპია.

შემოღებულია მთელი რიგი ცვლილებანი, რომლთა მიზანია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრების დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი განვითარება. უწინარეს ყოვლისა, მრავალი ცვლილება მიზნად ისახავს კიდევ უფრო მეტად განამტკიცონ კოლექტიურობის პრინციპი ყველა პარტიული ორგანოს მუშაობაში.

წესდებაში შეტანილია დებულება იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელობის კოლექტიურობა გულისხმობს პერსონალურ პასუხისმგებლობის დაკისრებული საქმისათვის, მუდმივ კონტროლს თითოეული პარტიული ორგანიზაციის, ყოველი მუშაკის საქმიანობისადმი. პარტიის, ყველა მისი ხელმძღვანელი ორგანოს, ყველა პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში კოლექტიურობის შემდგომი განვითარების ეს გეზი მკაფიოდ არის გატარებული ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში. მას წესდებაც ამკვიდრებს.

პარტიის საფუძველია პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომელთა რიცხვი ახლა 440 ათასს სჭარბობს. ახალი ამოცანების შესაბამისად წესდებაში უფრო სრულად არის ჩამოყალიბებული და დაზუსტებული პროგრამის მოთხოვნების სულისკვეთებით პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა ძირითადი ფუნქციები, მათი მოვალეობანი, რათა წარმართონ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, სოციალისტური შეჯიბრების განვითარების ამოცანების უფრო აქტიური გადაწყვეტისათვის.

წესდებაში შეტანილია ცვლილებანი, რომლებიც ეხება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობას. ისინი პარტიულ ორგანოებს მიზნად უსახავენ ნიადაგ სრულყონ პარტიული მუშაობის სტილი და მეთოდები.

პარტიის XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებულ სკკპ წესდებაში შეტანილია კარი „პარტია და სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები“. ამ კარში დაფორმულებულია პრინციპული დებულება იმის თაობაზე, თუ როგორ წარმართავს პარტია ურთიერთობას ამ ორგანიზაციებთან, როგორ ახორციელებს მათდამი ხელმძღვანელობას. ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მასობრივ ორგანიზაციათა პარტიული ხელმძღვანელობა — ეს არის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ყველა პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში, არ ეწევა სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დუბლირებასა და მაგივრობას. გამოცხადებულია ამ ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი მიზანი, რომლის არსი ის არის, რომ ხელი შეუწყონ მათი საკუთარი აქტიურობის მაქსიმალურ განვითარებას, იმას, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათაგან თითოეული სრული მოცულობით ასრულებდეს თავის ფუნქციებს.

პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავისი რეზერვისა და საიმედო თანაშემწის — ლენინური კომკავშირის საქმიანობის გაუმჯობესებას. კომუნისტურ მშენებლობაში, ახალგაზრდობის აღზრდაში, ახალი ცვლის მომზადებაში კომკავშირის აქტიურობის შემდგომი განვითარების გეზი უფრო სრულად არის ასახული პარტიის წესდებაში.

პრესკონფერენციის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ არ არსებობს კომუნისტის ავანგარდული როლი ზოგადად, იგი პრაქტიკული საქმეებით გამოიხატება. კომუნისტს აქვს ერთი პრივილეგია: იყოს წინ, მაგალითს აჩვენებდეს ყველაფერში — მუშაობასა თუ ყოფაცხოვრებაში. წესდებით დაკანონებულია ყველა კომუნისტისათვის ერთიანი პარტიული დისციპლინის მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს ურთიერთმომთხოვნელობას, ადამიანის პასუხისმგებლობას, დაუღალავ ბრძოლას პარტიელის სპეტაკი და უმწიკლო სახისათვის, სიტყვისა და საქმის ერთიანობისათვის.

პასუხი გაეცა ჟურნალისტთა სხვა შეკითხვებსაც. (საქდესი).

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐᲓ გამოიცა ტექსტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა, რომელიც ერთხმად დაამტკიცა სკკპ XXVII ყრილობამ.

სკკპ მესამე პროგრამა ახლანდელი რედაქციით — ეს არის სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე კომუნიზმისკენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის პროგრამა. ეს არის მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პროგრამა.

ბროშურა, რომელიც გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ, დაბეჭდილია მოსკოვის „კრასნი პროლეტარის“ სტამბაში.

(საქდესი).

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „საბჭოთა საქართველომ“ ქართულ ენაზე მასობრივი ტირაჟით ბროშურად გამოსცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

ბროშურა დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სტამბაში.

(საქინფორმი).

ᲛᲔᲒᲐᲚᲓᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲐᲗᲐ ᲬᲚᲘᲚᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ მებაღეობის ამხანაგობებს, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი, ახლა ჰყავთ 600 სული ძროხა, 3170 ღორი, 5700 ბოკვერი, ცხრა ათასამდე ფრთა ქათამი — ხუთჯერ მეტი, ვიდრე სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის.

განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად იშრომეს მებაღეებმა მეთერმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს — მოიწიეს 12.100 ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქტები და აწარმოვეს ათასობით ტონა ხორცი — 8,7 პროცენტით მეტი, ვიდრე 1984 წელს.

ეს ითქვა მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს მორიგ სხდომაზე, რომლის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ ო. გ. ვარძელაშვილმა.

(საქინფორმი).

ᲕᲐᲡᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲠᲒᲐᲜᲔᲚᲘ

ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲔᲓᲐᲜ

ᲒᲣᲚᲓᲐᲒᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲚᲘᲗᲝᲕᲐ

გული გულის წამალია,
დასტურია საქმე სიტყვის.
ჩვენ თუ არ ვთქვით ჩვენი ნაკლი,
ალა, უკეთ სხვა ვინ იტყვის.
ვერაფერი შეგაჩერებს
ამ დღეებთან შენაფიცარს.
შენი ნაკლ

დაჩქარება ხუთწლედის დევიზია

რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის ფილაგმანის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ოთხივე კვარტალის შედეგების მიხედვით ოთხჯერ მოიპოვა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და დარგობრივი პროფსაბჭოს ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და წარმატებებს მიაღწია მიმდინარე წლის განვლილ პერიოდშიც. ახლახან მოსკოვიდან დაბრუნდა ამ ქარხნის დირექტორი, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი **ბურაშ ქაშაკაშვილი**, რომელსაც ესაუბრა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი. გთავაზობთ საუბრის ჩანაწერს.

გთხოვთ, რამდენიმე სიტყვით გაგვიზიაროთ ყრილობაზე მიღებული შთაბეჭდილებანი.

შთაბეჭდილებები წარუშლელი დარჩება ჩემს ცხოვრებაში. განსაზღვრა ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი. გათვალისწინებულია გადავიდეთ უმაღლესი ორგანიზაციისა და ეფექტიანობის ეკონომიკაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება ყოველმხრივ განვითარებული საწარმოო ძალები, მომწიფებული სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა, გამართული სამეურნეო მექანიზმი. ასეთია პარტიის სტრატეგიული გეზი.

მისი განხორციელების მთავარი საშუალებებია ტექნიკური პროგრესი და საზოგადების საწარმოო ძალების ძირეული გარდაქმნა. წინანდელ მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველზე, როგორც ყირილობაზე აღინიშნა, კარდინალური ცვლილებების მიღწევა შეუძლებელია. გამოსავალად მიჩნეულია სახალხო მეურნეობის ღრმა რეკონსტრუქცია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ავანგარდული მიმართულებებით წინსვლის, სამეურნეო მექანიზმის, მართვის სისტემის გარდაქმნის ბაზაზე.

არავისთვის არ უნდა იყოს იმის მტკიცება საჭირო, რომ ყველა ჩამოთვლილი ღონისძიების განხორციელებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის შავ მეტალურგიას და, აქედან გამომდინარე, ჩვენს საწარმოსაც.

რას გვეტყოდით თქვენი ქარხნის დღევანდელ მდგომარეობაზე?

დიდი ხნის ქრონიკული ჩამორჩენის შემდეგ კოლექტივმა შეძლო არა მარტო 1984-1985 წლების სახელმწიფო გეგმების შესრულება და ხუთწლედის წინა სამ წელიწადში დაგროვილი სახელმწიფო დავალიანების საგრძნობლად შემცირება, არამედ წარმოების სტაბილიზაცია და რაც, ჩემი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია, იმ ფსიქოლოგიური დაბრკოლების დაძლევა, საკუთარი ძალებისადმი ურწმუნობა რომ ჰქვია.

შარშან მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა 22 დეკემბრისათვის შევასრულეთ. ზეგეგმით გაწარმოეთ 15,2 ათასი ტონა კოქსი, 3,5 ათასი ტონა აგლომერატი, 13 ათასი ტონა თუჯი, 11 ათასი ტონაზე მეტი ფოლადი, 5,8 ათასი ტონა ნაგლინი, 5,3 ათასი ტონა მილები, მილიონობით მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი. სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ზვედრითმა წილმა წარმოების მოცულობაში გეგმით გათვალისწინებული 24,5-ის ნაცვლად 26,8 პროცენტი შეადგინა.

საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმად სრულიად სამართლიანად მიჩნეულია მიწოდების ვალდებულების შესრულება. ამ მაჩვენებელმა შარშან 98 პროცენტს მიაღწია. მოგეხსენებათ, ჩვენ ლითონპროდუქციას ვაწვდით არა მარტო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას, არამედ საზღვარგარეთის 30-ზდე ქვეყანასაც. ჩვენი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი შეკვეთა შეუსრულებელი არ დაგვრჩენია.

როგორც წესი, საწარმოს ფინანსურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზეა დამოკიდებული კოლექტივის კეთილდღეობა. რა არსებითი ძვრები მოხდა ამ მხრივ ქარხანაში?

წარმოების ზრდისა და ეკონომიკის განმტკიცების შესაბამისად კოლექტივი თანდათან უფრო სტაბილური ხდება. მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლო ორი წლის განმავლობაში ქარხნის მშრომელთა რაოდენობა 800 კაცით გაიზარდა. ეს ზრდა, თავის მხრივ, ბევრად განპირობა სოციალური საკითხების მოგვარებამაც. ასე, მაგალითად, ქარხნის მშრომელთა საშუალო ხელფასი 240 მანეთამდე გაიზარდა. ეს 25 მანეთით აღემატება 1983 წლის დონეს. მარტო შარშან საბინაო პირობები გაიუმჯობესა მეტალურგთა 188 ოჯახმა, შეკეთდა და კეთილმოეწყო საერთო საცხოვრებლები, სასადილოები, სტადიონი, საცურაო აუზი, ქარხნის ტერიტორიაზე აშენდა სავაჭრო ცენტრი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, დღითი დღე ფსიქოლოგიური დაბრკოლების დაძლევა, საკუთარი ძალებისადმი ურწმუნობა რომ ჰქვია.

ეკონომიკურ საკითხებზე ფიქრობს, ეკონომიკურ ანგარიშზე ამყარებ ... ეკონომიკურ ... ...

რევოლუციის შევარდენი

„ეჰ, შევარდენო, შეუპოვარო, მტრებთან ბრძოლაში დაცლილო სისხლითო“... — მაქსიმ გორკის ამ სიტყვებით იწყებოდა მეფის ჯალათის ტყვეით განგმირული უდრეკი რევოლუციონერის ლადო კეცხოველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი პროკლამაცია. ეს სიტყვები ზუსტად ესადაგებოდა ლადოს ხასიათს, ბუნებით უშიშარ და გაბედულ პიროვნებას, მის ამბოხ სულს.

ლადო ლენინური სკოლის იმ მგზნებარე პროფესიონალი რევოლუციონერების სახელოვან პლეადას ეკუთვნოდა, რომლებმაც თავიანთი ცხოვრების მიზნად ცარიზმისა და ბურჟუაზიული წყობილების დამხობა დაისახეს, სიცოცხლე შესწირეს მშრომელი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა თეორიულად გამობრძმედილი პროლეტარული რევოლუციონერების მომზადებას, რომელთა გარეშე ვერ შეიქმნებოდა პარტია, ვერ მოიპოვებდა გადამწყვეტ გავლენას მუშათა კლასზე და სოციალისტური რევოლუციაც რუსეთში უიმედო იქნებოდა. მას მტკიცედ სწამდა, რომ მხოლოდ ასეთი ადამიანების მეოხებით მიაღწევდა რუსი ხალხი „სრულ განთავისუფლებას ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან“.

ლენინური გვარდიის ასეთი რევოლუციონერი იყო ლ. კეცხოველი. ლადოს შესახებ გამოცემულ ბროშურაში, რომელიც მის მიერვე დაარსებულ ბაქოს არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი წერდა, რომ ლადომ „პირველმა შექმნა ქართული რევოლუციონური ლიტერატურა. მანვე პირველმა გამართა ჩვენში სარევოლუციო სტამბა, მანვე პირველმა გამოსცა ქართული რევოლუციონური დროგამოშვებითი ორგანო, მანვე პირველმა ჩათესა ბაქოს მუშებში რევოლუციის თესლი... მისი სახელი ღრმად და შეუდრეკად ჩაქსოვილია კავკასიის მუშათა მოძრაობაში!... ამ სახელს შესაფერისი ადგილი დაეთმობა მთელი რუსეთის რევოლუციონური მოძრაობის ისტორიაშიც“.

მადლიერმა საბჭოთა ხალხმა დიდების შარავანდედით შემოსა თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ამ თავგანწირული მებრძოლის უკვდავი სახელი.

• • •

ვლადიმერ (ლადო) ზაქარიას ძე კეცხოველი დაიბადა 1876 წლის 2 იანვარს გორის მაზრის სოფელ თლიში (ამჟამად ჯავის რაიონი). მალე ლადოს მშობლები მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდნენ ტყვიავში.

გორის სასულიერო სასწავლებელში პროგრესულად განწყობილი მასწავლებლების გავლენით ჩამოყალიბდა ლადოს მსოფლმხედველობა, მისი უსაზღვრო სიძულვილი მშრომელთა ჩაგვრისადმი. მალე შევიდა მოსწავლეთა თვითგანათლების არალეგალურ წრეში, სადაც რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების, სხვა პროგრესულ მწერალთა თხზულებებს სწავლობდნენ. ლადოს კავშირი ჰქონდა 1892 წლის დამდეგს მ. გორკისა და თ. ალანასიევის მეთაურობით ჩუღურეთში მოწყობილ თვითგანათლების წრესთან, „კანსნოგორის კომუნის“ სახელწოდებით რომ არის ცნობილი.

სასწავლებელში გამეფებული ეეზუიტური რეჟიმის გამო, 1893 წლის 1 დეკემბერს მ. ცხაკაიას და ლ. კეცხოველს მეთაურობით, სემინარიის მსმენელები გაიფიცნენ. 1894 წლის იანვარში გაფიცვაში მონაწილე 87 ახალგაზრდა „მგლის ბილეთით“ გარიცხეს სემინარიიდან, მათ შორის იყო გაფიცვის ორგანიზატორი ლ. კეცხოველიც.

ლადო ცდილობს შეძენილი ცოდნის გაღრმავებას და ამ მიზნით 1894 წლის სექტემბერში ახერხებს კიევის სასულიერო სემინარიის მესამე კლასში ჩარიცხვას. მალე იგი დაუკავშირდა მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიულ წრეს, კიდევ უფრო მეტი მონდომებით დაეწყო რევოლუციურ ლიტერატურას. მის ბინაში ხშირად იმართებოდა სოციალ-დემოკრატიული წრის მეცადინეობა, სადაც სწავლობდნენ მარქსის, ენგელსის, ლენინის, პლეხანოვის ნაშრომებს და სხვა რევოლუციურ ლიტერატურას. კიევის ეპარქიერის სამმართველო წერდა, რომ ლ. კეცხოველი „უაღრესად აქტიური და ენერგიული რევოლუციონერია, ამავე დროს საუცხოო ორატორიცაა, რომელსაც მასებზე ზემოქმედების უნარი აქვს“. 1896 წლის 29 მარტს ლადო აკრძალული ბროშურებისა და ხელნაწერების შენახვა-გადაწერისათვის სემინარიის მეოთხე კლასიდან გარიცხეს, მალე დაუპატიმრეს, შემდეგ კი პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ გადმოიყვანეს საქართველოში.

1897 წელს ლადო დაუკავშირდა თბილისის მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეების ხელმძღვანელებს, შევიდა „მესამე დასში“. იგი რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი გახდა, ხელმძღვანელობდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და სტამბების მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს. „მესამე დასის“ რევოლუციურმა ფრთამ მ. ცხაკაიას, ლ. კეცხოველის, ი. სტალინის, ა. წულუკიძისა და ფ. მახარაძის მეთაურობით ლენინური „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ გავლენით, ენერგიული მუშაობა გააჩაღა მეცხიერული სოციალიზმის მუშათა მოძრაობასთან შეერთებისათვის.

1900 წლის იანვარში ლ. კეცხოველი ა. წულუკიძესთან, მ. ბოჭორიძესა და ვ. სტურუასთან ერთად გახდა თბილისის კონკის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. პოლიციამ ეჭვი მიიტანა მასზე როგორც მთავარ ორგანიზატორზე. ამიტომ იგი რსდმპ თბილისის კომიტეტის რჩევით ბაქოში წავიდა, სადაც ჩასვლისთანავე დაუკავშირდა ნ. კოზერენკოს, ა. ენუქიძეს, ი. ვაციკსა და სხვებს. მან აქ ფართო რევოლუციური მუშაობა გააჩაღა. მისი აქტიური მონაწილეობით 1901 წელს ყალიბდება რსდმპ ბაქოს კომიტეტი, რომელიც მეთაურობდა ნავთობის ქალაქის მუშათა გმირულ ბრძოლებს. ლადო აქტიურად მონაწილეობს ბაქოს პარტიული ორგანიზაციის ჩამოყალიბებასა და მუშაობაში. იმავე წლის ზაფხულში ბაქოში მისი მეთაურობით მუშაობა დაიწყო დიდმა არალეგალურმა სტამბამ. მალე ლადო ხდება „ისკრის“ აგენტიც.

ვ. ი. ლენინს რუსეთში „ისკრის“ გავრცელების ყველაზე საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა საზღვარგარეთიდან მისი მატრიცების გადმოგზავნა და ადგილობრივ არალეგალურ სტამბებში მათი გადაბეჭდვა. იგი ბაქოს ისკრულ ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ ლ. კრასინი, ლ. კეცხოველი, ლ. გალპერინი, ნ. კოზერენკო და ა. ენუქიძე, წინადადებას აძლევდა მოეწყოთ ადგილზე ასეთი საადუმლო სტამბა, სადაც შეიძლებოდა „ისკრის“ გადაბეჭდვა. „ისკრის“ რედაქციამ სტამბას კონსპირაციული მიზნით „ნინა“ უწოდა, ხოლო ლ. კეცხოველს — „ნინას მამა“. შემოდგომიდან ლ. კეცხოველმა დაიწყო „ისკრის“ გადმობეჭდვა. ამავე სტამბაში ლადოს ხელმძღვანელობით 1901 წლის სექტემბერში გამოვიდა ქართული არალეგალური მარქსისტული გაზეთი „ბრძოლა“, რომლის გამოჩენას მხურვალედ მეესალმა ლენინური „ისკრა“ და მას დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა უწოდა.

გაზეთის პირველივე ნომერში „მუშის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა ლადოს ეპიგრაფ-მიმართვა „მიიღეთ და შეიტკბეთ!“ მასში ნათქვამი იყო: „ვუძღვნი ჩემს უყვირფასეს ამხანაგებს, ჩემთან ჭირში და ლხინში შეზრდილთ, რკინის გრდემლივით ცეცხლში გამოწრობილთ, ცხოვრების ზღაბუკუღმა ტრიალში მებრძოლთ, უშიშარ გმირთ, სიმართლისათვის თავდადებულთ, ადამიანის შემბორკავ ჯაჭვთა დამამსხვრეველთ, მეცნიერების გამანთავისუფლებელთ, შემზარავ საპყრობილეთა დამანგრეველთ, მანდილოსანთა პატიოსნების აღმდგენელთ, ბნელში მანათობელთ და გასალკლდეევებულ ვაჟკაცთ, თავისუფლების, სიყვარულის და ერთობის დროშის მატარებელთ, ერთგულ და სიმართლისათვის ტანჯულ-წამებულ ამხანაგებს!“. ეს ეპიგრაფი საგანგაშო ნაბათის ხმად, მძლავრ დამრაზმველ და მამობილზებელ მოწოდებად გაისმა ტირანიის წინააღმდეგ ყველა მებრძოლისათვის.

გაზეთის ამავე ნომერში დაიბეჭდა ლ. კეცხოველის ბრწყინვალე სტატია, რომელიც მიეძღვნა რუსეთთან საქართველოს შეერთების მეასე წლისთავს. სწორედ ეს იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი ნაშრომი, რომელშიც სწორი პოზიციებიდან არის გაშუქებული ამ ისტორიული მოვლენის პროგრესული მნიშვნელობა.

სტატია გამსჭვალულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებით. ავტორი მხურვალედ მოუწოდებს ქართველი, რუსი, სომეხი და სხვა ეროვნების მუშებს გაერთიანდნენ საძულველი ცარიზმისა და ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. „ისკრის“ რედაქციას წერილობით აცნობა თავისი მუშაობის სიძნელეებზე. იგი გაოგნებული წერდა, რომ არ იცის, რა მოუხერხოს სტამბას, „რაც მე ამდენ შრომად, სისხლის ფასად დამიჯდა... ბოლოს და ბოლოს მირჩიეთ რაიმე — ისევ აქ ვიჯახირო (არ არის სახსრები, ხალხი და ა. შ.), თუ თქვენთან გადმოვბარგდე... მე მხედველობაში მაქვს ვიმუშაო ქართული სტამბისა და საზოგადოებრივი ორგანოს მოწყობაზეო...“. აქედან ჩანს, რომ ლადოს განზრახვა ჰქონდა საზღვარგარეთ მოეწყო სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის გამოცემა და შეექმნა ქართული გაზეთი.

მალე ლადო კვლავ ამიერკავკასიაში დაბრუნდა. 1902 წლის ზაფხულში მან ბაქოში დაიქირავა კერძო ბინა, რომლის პატრონს განუცხადა, რომ სურს მუყაოს სახელოსნოს გახსნა, მან იქ გადაიტანა გადამალული საბეჭდი მანქანა და რკინიგზის მემანქანის თანაშემწეს ვ. ბაქრაძეს დაავალა აჯიქაბულში საიდუმლოდ შენახული შრიფტი ისევ გადმოეტანა ბაქოში. სტამბა „ნინას“ მალე უნდა განეახლებინა მუშაობა. მაგრამ 2 სექტემბერს ვ. ბაქრაძეს ორთქლმავალში ჟანდარმებმა აღმოუჩინეს შრიფტის ნაწილი. იმავე დღეს ბაქოს ჟანდარმებმა ვ. ბაქრაძის ბინის ნაცვლად გაჩხრიკეს სულ სხვა ბაქრაძის ბინა, სადაც შემთხვევით იმყოფებოდა ლ. კეცხოველიც, რომელიც სრულიად მოულოდნელად ჩაუვარდა ხელში ჟანდარმებს.

ჩხრეკის დროს კეცხოველს აღმოუჩინეს რევოლუციური ლიტერატურა, სხვის სახელზე გაცემული ორი პასპორტი და სხვა დოკუმენტები. გამოძიების დროს ლადომ გზა-კვალი აუბნია ჟანდარმებს და შეუძლებელი გახადა პასუხისგებაში მიცემული ზოგიერთი პირის რევოლუციური საქმიანობის დადგენა. გამომძიებლის ბევრ კითხვაზე ლადო აცხადებდა: „ამაზე პასუხის გაცემა არა მსურს“.

1902 წლის 23 სექტემბერს ლ. კეცხოველი და მასთან ერთად პასუხისგებაში მიცემული სხვა 12 ადამიანი ციხეში ბაქოდან თბილისში, მეტეხის ციხეში გადმოიყვანეს და ცალკე საკანში მოათავსეს. ლადოს აუკრძალეს ნაცნობ-ნათესავებთან შეხვედრა და წიგნების კითხვა.

21 ოქტომბერს ლ. კეცხოველი თავის ძმას წერილობით სთხოვს ციხეში შეუგზავნოს შექსპირის თხზულებანი, გოეთეს „ფაუსტი“, ჰაინესა და ბარათაშვილის ლექსები, გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენების თვითმასწავლებელი. მაგრამ არც ამის უფლება დართეს. 1903 წლის დამდეგს ლადო თხოვნას უგზავნის ეახდარმთა სამმართველოს უფროსს დაეჩქარონ საქმის გამოძიება, უფლება დართონ შეხვედეს ნათესავებს და განუმარტონ, თუ რატომ არ აძლევენ ნებას წაიკითხოს კ. მარქსის „კაპიტალი“ და სხვა ლიტერატურა?

ლადო მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით ეწევა რევოლუციურ პროპაგანდას პოლიტიკურ პატიმართა შორის. აქვე იგი გაეცნო რსდმპ პროგრამის პროექტს და თბილისის კომიტეტისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში რჩევას იძლეოდა, რომ მუშებისათვის განმარტათ „ისკრის“ მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტის ძირითადი დებულებანი და ყურადღება მიექციათ ისეთი ლიტერატურის გამოცემისათვის, რომლითაც მუშები გაიცნობდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უახლოეს და საბოლოო მიზნებს, მათი მიღწევის საშუალებებს.

ლადოს აქტიური რევოლუციური მუშაობა ციხეში და მისი გავლენა პოლიტიკურ პატიმრებზე შეუმჩნეველი არ დარჩენია ციხის ადმინისტრაციას, მაგრამ რევოლუციის რაინდის პროტესტანტული სულისკვეთება ვერაფრით დაიცრეს. 14-15 ივლისს მეტეხის ციხის პოლიტიკურმა პატიმრებმა ლ. კეცხოველის, ვ. კურნატოვსკისა და ზ. ჩოდრიშვილის ხელმძღვანელობით ამბოხება მოაწყვეს. ისინი ამტვრევდნენ ციხის სარკმელებს და მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგებს გაპყვიროდნენ. ადმინისტრაციამ მკაცრ რეპრესიებს მიმართა და გამოსვლების მეთაურები ბნელ კარცერში ჩასვა. მეტეხის ციხის პატიმართა აჯანყების ამბავი სწრაფად მოედო მთელ თბილისს. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველომ ამბოხების მთავარ ხელმძღვანელად ლ. კეცხოველი მიიჩნია, რომელიც, ციხის უფროსის აზრით მთელი პატიმრობის დროის განმავლობაში მომხდარ არეულობათა მეთაური იყო. შვიდი დღის განმავლობაში კარცერში ყოფნის შემდეგ ლადო ციხის ცალკე საკანში გადაიყვანეს, რომლის სარკმელიდან ხმამაღლა გაპყვიროდა მთავრობის საწინააღმდეგო პოლიტიკურ ლოზუნგებს. მისი მეჭეკარე ხმა აღწევდა ტუსაღებამდე და ამხნევებდა მათ.

ლადო დარწმუნებული იყო, რომ მას ციმბირში გადასახლება არ ასცდებოდა და იქიდან . მალე გამოქცევის გეგმებს სახავდა. გამოძიების მიიჩნია, რომ რევოლუციური მოძრაობისათვის კეცხოველი მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომ გადასახლების დროს მის წინააღმდეგ გამოყენებულ უნდა იქნეს საგანგებო ზომები, რადგან პირველი შესაძლებლობისთანავე იგი საზღვარგარეთ გაიქცევა და დიდ ზიანს მოგვაყენებსო. ამიტომ მეფის ჯალათები ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ, რომ თავისუფლებისადვის მებრძოლი სიცოცხლეს გამოესალმებინათ. და აი, 1903 წლის 17 აგვისტოს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე, როდესაც კეცხოველი ციხის მეზობელ საკანში მყოფ ხაშურის მუშათა დეპონსტრაციის მონაწილე პატიმრებს ესუბრებოდა, დაქირავებული გუშაგის ტყვიამ მას გული გაუგმირა. ეს შემზარავი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ციხეს, პატიმრების აღშფოთებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ამ ავაზაკურმა მკვლელობამ ამიერკავკასიის მშრომელთა დიდი მწუხარება და გულისწყრომა გამოიწვია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ციხეს ჯარი დაუყენა და თბილისში საღამო პირებზე თვალყურის დევნება კიდევ უფრო გააძლიერა. ცხედარი კი ღამით, მალულად ნათესავის სამხედრო სასაფლაოზე დაკრძალეს. ლადოს მოხუცი მამა, უარი უთხრეს შვილი გადაესვენებინა ბინა მშობლიურ ტყვიავში.

თბილისში, ბაქოსა და ბათუმში გაიმართა მუშათა სამგლოვიარო მიტინგები და კრებები, რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე გამოიცა ლ. კეცხოველის ხსოვნისადმი მიძღვნილი პროკლამაციები. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოაქვეყნა ბროშურა „ლადო კეცხოველი, მისი ცხოვრება და რევოლუციონური მოღვაწეობა“, რომელიც დაიბეჭდა მის მიერ დაარსებულ ბაქოს არალეგალურ სტამბაში. პროკლამაციები, ბროშურა და მოწოდებები ვრცელდებოდა მთელ კავკასიაში. ლადოს მკვლელობის წელსთავზე რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა კვლავ აღნიშნა მისი ნაღელი ხსოვნა გაზეთ „ბრძოლის“ ღირსეული შემკვიდრის „პროლეტარიატის ბრძოლის“ 1904 წლის 1 (14) სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული მოწინავე სტატიით. მისი ავტორი ლ. კეცხოველს ახასიათებდა როგორც დიდ რევოლუციურ მოღვაწეს და წერდა, რომ იგი იყო „დაუღალავი მუშაკი, გულწრფელი, ქეთილი ამხანაგი, შეუბრალებელი მტერი თვითმპყრობელობისა, სოციალ-დემოკრატიული მოძღვრებით გატაცებული, მოხერხებული მომქმედი, გონიერი ორგანიზატორი, გაბედული მებრძოლი...“.

მთელი თავისი მოღვაწეობით, დიდი ორგანიზატორული და პროპაგანდისტული ნიჭით ლადო ერთგულად ემსახურებოდა მშრომელ ხალხს, ლენინური პარტიის საქმეს. ამიტომ მისი სახელი სწორედ ხალხის ხსოვნაშია ფესვგადგმული, რადგან საქმე, რომელსაც მან შესწირა თავისი მგზნებარე ენერგია და სიცოცხლე, არასოდროს მიეცემა დავიწყებას.

ჩვენს ისტორიულ-პარტიულ, პუბლიცისტურ ლიტერატურასა და მხატვრულ შემოქმედებაში ღირსეულად აისახა ამ შეუდრეკელი რევოლუციონერის, მშრომელი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის თავგანწირული მებრძოლის სახე.

საბჭოთა ხალხი კანონიერად ამაყობს თავისი სახელოვანი შვილების გმირული საქმეებით, საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციურად გარდაქმნისათვის მათი თავდადებული ბრძოლითა და შრომით. ამიტომ იგი სათუთად ინახავს და თაობიდან თაობას გადასცემს მათს დიდ ღვაწლსა და ვაჟკაცურ შემართებას თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, ჩვენი დღევანდელ ცხოვრებისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის, რომლის ვეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის სტრატეგიული კურსი შეიმუშავა ლენინური პარტიის XXVII ყრილობამ. სწორედ ამ პარტიის მშენებლობის სათავეებთან იდგა ლ. კეცხოველი, რომელმაც სიცოცხლე, ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნია, შეწირა სოციალიზმისათვის ბრძოლას. მისი სახელი მარად იცოცხლებს.

ვლადიმერ მერკვილაძე,
პროფესორი.

ჩვენ ავაშენეთ საქართველო, რევოლუციონერის ბიოგრაფია

სახლ-მუზეუმში

გორის რაიონის სოფელ ტყვიავი... ლამაზი, დეკორატიული ჯიმკარი, ეზოს სიღრმეში ხეთა და ქვითკირით ნაგები სახლი დგას. ამ სახლში ცხოვრობდა ზაქარია კეცხოველის ოჯახი, აქ იზრდებოდა პატარა ლადო.

დღევანდელ კეცხოველებს უფროსი თაობისაგან გაუგონიათ: გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეს ლადო კეცხოველს რამდენიმეჯერ მიუყვანია აქ თავისი მეგობარი, ამავე სასწავლებლის მოსწავლე სოსო ჯუღაშვილი. ეზოში რომ იფნის ხე დგას, იმის ჩრდილში დასხდებოდნენ, წიგნს გადაშლიდნენ და საუბრობდნენო..

იფნის ხე დღესაც დგას კეცხოველების ეზოში, ოღონდ ეგ არის, წელთა სამრავლე დასტყობია, დაბერებულა. კეცხოველების ძველ სახლს კი დაბერებას ვინ დაანებებს! ლადოს ეზო-კარი გაუახალგაზრდავებიათ, შეუკეთებიათ, გაუკოხტავებიათ. მემორიალური სახლ-მუზეუმის ოთახებსა და საგამოფენო დარბაზში დღემუდამ სტუმრობაა.

— მუზეუმში ყოველწლიურად ათი ათასამდე დამთვალიერებელი მოდის, — ამბობს ლადო კეცხოველის სახლ-მუზეუმის დირექტორი, გამოჩენილი რევოლუციონერის ძმისწული ლევან კეცხოველი. ლადოს სახლ-მუზეუმი ამ ათი წლის წინათ გაიხსნა და იმთავითვე იქცა ტყვიავის, ახლომახლო სოფლების ახალგაზრდობის კულტურული ცხოვრების ცენტრად. ახლახან ტყვიაველმა პიონერებმა აქ შეგვიდრა მოუწყვეს ომისა და შრომის ვეტერანებს, ცხინვალის რაიონის დისვის რვაწლიანი სკოლის მერვეკლასელებმა ისტორიის ღია გაკვეთილზე, რომელიც ჩვენი მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ჩაატარეს, შეისწავლეს თემა: „საბჭოთა საქართველო 65 წლისაა“. დედაქალაქის 87-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „მთა ხსოვნას სამშობლო სანოლებად აინთებს“, წაიკითხეს ლექსები უდრეკ ლენინელებზე, თავი რომ შესწირეს ნათელ იდეალებს...

სწორედ მათ მიუძღვით უდიდესი წვლილი იმაში, რომ როგორც XXVII ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ითქვა, „ჩვენ ავაშენეთ სამყარო, სადაც არ არის ჩაგვრა და ექსპლოატაცია, შეგქმენით სოციალური დარაზმულობისა თუ იმედიანრნის საზოგადოება. ჩვენ, დედასამშობლოს პატრიოტები, კვლავაც ყოველნაირად გვუფრთხილდებით მას, ვამრავლებთ სამშობლოს სიმდიდრეს, განვამტკიცებთ მის ეკონომიკურ ძლიერებასა და მორალურ ძალას“. (სკ. კორ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი აწყობს საიუბილეო სესიას, რომელიც ეძღვნება გამოჩენილი პროფესიონალი რევოლუციონერი ლენინელის

ლადო კეცხოველის დაბადების 110 წლისთავს.

სესია გაიმართება დღეს, 12 მარტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (რუსთაველის პრ. 29).

დასაწყისი 17 საათზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას — თანამიმდევრულობა, სიმტკიცე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა თუ როგორ ასრულებს პარტიის დუშეთის რაიკომი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ და აღნიშნა, რომ რაიონში გაწეულია გარკვეული მუშაობა ამ მიმართულებით.

ფხიზელი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების ორგანიზაციულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მხარი დაუჭირეს და მოიწონეს მშრომელებმა. რაიონში მტკიცდება საზოგადოებრივი წესრიგი და დისციპლინა. შემცირდა გაცდენების რიცხვი, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შესრულებაზე, შრომითს კოლექტივებში ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღებაზე.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს განიხილავენ პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომებზე, ახორციელებენ ალკოჰოლის საწინააღმდეგო პროპაგანდის შემდგომი გაძლიერების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის სრულყოფის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ღონისძიებებს.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დადგენილების მიღებიდან განვლილი პერიოდის მანძილზე რაიონში შემცირდა ერთ სულ მოსახლეზე სპირტიანი სასმელების მოხმარება, 25 პროცენტით იკლო ღვინითა და არყით მოვაჭრე ობიექტების რაოდენობამ.

ამავე დროს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის პარტიის დუშეთის რაიკომის საქმიანობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი.

ყველა პირველადს პარტორგანიზაციაში სრული პასუხისმგებლობით როდი მოეკიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხილვისადმი მიძღვნილი პარტიული კრებების მოწყობას. აღმოფხვრილი არ არის უდარდელი და ლბენარალური დამოკიდებულება ლოთობის მიმართ, ამ ფაქტებზე რეაგირებისას ხშირად სჭარბობს ადმინისტრირება.

პარტიის რაიკომსა და რაიაღმასკომს არა აქვთ მონაცემები იმის შესახებ, თუ რა რეაგირებას ახდენენ კოლექტივებში ლოთობის ფაქტებზე. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობას აკლია მიზანმიმართულება და სისტემურობა, სათანადოდ ვერ იყენებენ ზემოქმედების ისეთ ზომას, როგორიც არის ამხანაგური სასამართლოები.

რაიონში ურიგდებიან ღრეობას ტრადიციული სახალხო დღესასწაულების დროს. უფრო მეტიც, ზოგიერთი ხელმძღვანელი თავად იქცევა უღირსად. სახალხო დღესასწაულის შატილობის დროს კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანმა, სკკპ წევრმა ი. ო. პაპაკიურმა და ალკკ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ, სკკპ წევრმა ნ. რ. ნამგალაურმა მთვრალებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მილიციის თანამშრომელს, რისთვისაც ისინი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. მათ დაედოთ პარტიული სასჯელი.

ჯერეინ მუშაობას არ ეწევა ამ მიმართულებით სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი. რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომებზე არც ერთხელ არ მოუსმენიათ სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა, შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელთა ანგარიშ ებ ი. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის საქმიანობა ამოიწურება უმნიშვნელო ფაქტების განხილვით, მისი გეგმები კი არ გამოხატავენ მწვავე, საჭირბოროტო პრობლემებს.

რაიონში გახსნილი არ არის ახალგაზრდული, დიეტური და საბავშვო კაფეები, უალკოჰოლო სასმელების გაყიდვისათვის განკუთვნილი ბარები.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენადმე იკლო ლოთობასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების ხვედრითმა წილმა, მსჯავრდადებულთაგან ყოველმა მეოთხემ დანაშაული ჩაიდინა სიმთვრალეში.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პასიური პოზიცია უკავია კომკავშირის რაიონულ კომიტეტს, იგი სათანადო ყურადღებას არ აქცევს ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაციას, შექმნილი არ არის ახალგაზრდული კლუბები საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. სპორტული ბაზები სრული დატვირთვით არ მუშაობენ. მოუწყობელია მეტი წილი სტადიონები და სპორტმოედნები.

რაიონში არ არის უზრუნველყოფილი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა საჯაროობა. ანტიალკოჰოლურ თემაზე გაზეთის პუბლიკაციების ძირითადი ნაწილი ერთობ ზოგადი ხასიათისაა, მოკლებულია კონკრეტულობას, უმოქმედოდ არის სიფხიზლისათვის ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოება. იგი არ ეწევა აქტიურ პროფილაქტიკურ მუშაობას საწარმოებში, დაწესებულებებში, სკოლებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესრულებისათვის საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის მუშაობა არასაკმარისად ცნო. პარტიის რაიკომს დაევალა შეიმუშაოს დასაბუთებულ ორგანიზაციულ და აღმზრდელობით ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია ალკოჰოლის საწინააღმდეგო მუშაობის გადაჭრით გაძლიერება და მისი ეფექტიანობის გადიდება. საჭიროა უზრუნველყოფილ საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო და სამართალდაცვითი ორგანოების მოქმედების კოორდინაცია ლოთობისა და ალკოჰოლის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კომუნისტებმა, განსაკუთრებით ხელმძღვანელების, პირადი მაგალითი ნიადაგ ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებრივი აზრის იმ სულისკვეთებით ჩამოყალიბებას, რომ არ ვიროგდებოდეთ ეროვნული ტრადიციებისა და წესების ანტისაზოგადოებრივ მოვლენებად გადაქცევას. საჭიროა ფართო საჯაროობა ლოთების, მუქთახორების, გამცდენების მიმართ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებისას.

დუშეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს ლოთობისა და ალკოჰოლის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის მუშაობის დონის ამაღლებას, უზრუნველყოს დიფერენციული მიდგომა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისადმი. ფართოდ უნდა „დაინერგოს აღმასკომის სხდომებზე სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და შრომითი კოლექტივების ბელადების ანგარიშების მოსმენა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

(სკკპ ინფორმ).

უალკოჰოლოდ!

კურორტზე არაყს რა უნდა!

ფყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით არც ერთ მაღაზიაში არაყი აღარ იყიდება.

—იმათი ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა, ვინც ჩვენთან სამკურნალოდ ჩამოდის, — თქვა პროფკავშირთა კურორტების მართვის ფყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გენადი სამადაშვილმა, — დაეტყო სამედიცინო პროცედურათა ეფექტიანობას, ხელი შეგვიწყო თითქმის აღმოგვეფხვრა სანატორიული მკურნალობის კურსის შემდეგ რეციდივების შემთხვევები და გამწვავება.

— ვახორციელებთ რა გადამწყვეტ ღონისძიებებს იმით წინააღმდეგ, ვისაც ჩვენს საკურორტო ქალაქში თავისი შვებულების აუცილებელ ატრიბუტად ნუნუა მიიჩნია, გავითვალისწინეთ და ვახორციელებთ ამ ბოროტებასთან ბრძოლის მრავალ ღონისძიებას,

თქვა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მირზა ქორქაშვილმა, უშინარეს ყოველთვის ვაკეთებენ ანტიალკოჰოლურ პროპაგანდას, პირველი მსმენელები მიიღო სიფხიზლის საზოგადოებრივმა უნივერსიტეტმა, სადაც ლექციებს კითხულობენ ექიმები და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრ

ინფორმაციები

ფაქტები • მოვლენები

● აშშ

დაგმეს უხეში გამოხდომა

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გუს ჰოლმა გულისწყრომით დაგმო რეიგანის ადმინისტრაციის მორიგი აქცია სსრ კავშირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინააღმდეგ.

პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ მეტად საზიანოა მშვიდობის საქმისათვის ვაშინგტონის ახალი გამოხდომა, რომელმაც სრულიად უსაფუძვლოდ მოითხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ მუდმივი წარმომადგენლობების დიპლომატიური პერსონალის 40 პროცენტით შემცირება. რეიგანის ადმინისტრაციის ეს მოქმედება, თქვა გუს ჰოლმა, მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ გამწვავებას. ამიტომ მეტად საფუძვლიანია საერთაშორისო გაერთიანების ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს ეჭვი იმის თაობაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამ წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბ-ბინის ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე არსებობა.

◆ კოლუმბია

არჩევნების შედეგები

ბოგოტა. შეჯამდა პარლამენტისა და მუნიციპალური არჩევნების წინასწარი შედეგები, რომელიც კვირას გაიმართა. გამარჯვება მოიპოვა ლიბერალურმა პარტიამ. ამომრჩეველთა 90 პროცენტის ხმების დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ პარტიის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 54-მა პროცენტმა. ლიბერალთა მთავარმა მეტოქემ — კონსერვატიულმა პარტიამ მიიღო ხმების 38 პროცენტი.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია კოალიციამ „პატრიოტულმა კავშირმა", რომელშიც შედიან კოლუმბიის კომპარტია და ქვეყნის სხვა შემარცხენე ძალები. ამ პოლიტიკურმა მოძრაობამ ერთი მესამედით გაზარდა თავისი წარმომადგენლების რიცხვი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში. კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჰ. ვეიერამ განაცხადა, რომ არჩევნებში კომუნისტების შეთაურობით კოლუმბიის შემარცხენე ძალების ბლოკის წარმატება მოწმობს კომპარტიისა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების ავტორიტეტის ზრდას ხალხის ფართო მასებში, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე მათი გავლენის გაფართოებას.

● ავღანეთ-ინგლისი

მხარს უჭერენ მკვლელს

გადაეცათ ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა

ქაბული. ბაბთარის საგენტო იუწყება, რომ ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდ ბრიტანეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული გამოიძახეს ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მას საპროტესტო ნოტა გადაეცა.

მასში გამოთქმულია პროტესტი დიდ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიწვევით ავღანეთის კონტრრევოლუციის ერთ-ერთი თავკაცის აბდულ ჰაკის ინგლისში ყოფნის გამო. 3 მარტს ეს დამნაშავე შეხვდა საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრს იანგს, ნათქვამია ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში. ინგლისელმა მინისტრმა არაფრე მოისმინა აბდულ ჰაკის მონაჩმახი ავღანეთის შინაპოლიტიკური ვითარების თაობაზე, არამედ თავისი ქვეყნის სახელით მხარიც კი დაუჭირა მას. ამრიგად, დიდი ბრიტანეთის ოფიციალური წრეები აშკარად უცხადებენ სოლიდარობას მკვლელს, რომლის სინდისზეა აფეთქება ქაბულის საერთაშორისო აეროპორტში და სარაკეტო ცეცხლის დაშენა დასახლებული პუნქტებისათვის, რომელთა შედეგად ათობით კაცი დაიღუპა, მათ შორის ქალები, ბავშვები და მოხუცები.

დიდი ბრიტანეთის ოფიციალურ პირთა ასეთი მოქმედება მიმართ სხვა არა არის რა, თუ არა პირდაპირი ჩარევა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის უხეში დარღვევა.

ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობისათვის

ინდოეთის კომპარტიის XIII ყრილობის წინ

დელი. 12 მარტს ბიჰარის შტატის ქალაქ პატნაში იხსნება ინდოეთის კომპარტიის XIII ყრილობა. იგი გაიმართება პერიოდში, როცა მნიშვნელოვნად გაიზარდა საფრთხე, რომელსაც რესპუბლიკას უქმნიან ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, აგრეთვე შინაგანი რეაქციის ძალები. ამას ინდოეთის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „ნიუ ეიჯის" ფურცლებზე წერს ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს მდივანი ნ. კ. კრიშნანი.

რეიგანის ადმინისტრაციის ავანტიურისტული პოლიტიკის შედეგად კაცობრიობას ბირთვული მოსპობის საფრთხე ემუქრება, აღნიშნულია სტატიაში. რეიგანმა, რომელმაც უარყო სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მიერ წამოყენებული ყოვლისმომცველი საშვიდობო ინიციატივები, დაადასტურა, რომ აპირებს განაგრძოს „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამა და ბირთვული გამოცდები, რათა მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას საბჭოთა კავშირთან შედარებით. პენტაგონი „ნეოგლობალიზმისა" და ინტერვენციის დოქტრინას ფართო მასშტაბით ახორციელებს აზიაში, აფრიკაში, ცენტრალურ და ლათინურ ამერიკაში. ტრანსეროვნულმა კორპორაციებმა გააძლიერეს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ძარცვის ნეოკოლონიალისტური პოლიტიკა.

ამავე დროს ბრძოლა მშვიდობისა და ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესისათვის ფართო გაჭანგებს იძენს, აღნიშნა ნ. კ. კრიშნანმა. ამიტომ ინდოეთის კომპარტიის მომავალი ყრილობა პატნაში განიხილავს მისი გაფართოებისა და გაღრმავების, ქვეყნის მთელი მშვიდობისმოყვარე და ანტიიმპერიალისტური ძალების გაერთიანების გზებსა და საშუალებებს, ხაზგასმულია სტატიაში.

ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმმა გააძლიერა ხრიკები ინდოეთში ვითარების დესტაბილიზაციისათვის, აღნიშნავს ავტორი. შინაგანი რეაქციის აქტიურობა მკვეთრად გაიზარდა, რამაც გამოიწვია ვითარების გაბრწყვიტება პენჯაბში, ჯამუსა და ქაშმირში, მთელ ჩრდილოეთ ინდოეთში. ძლიერდება საფრთხეც, რომელსაც ინდოეთს უქმნის ზოგიერთი მეზობელი სახელმწიფო, როგორიც არის, მაგალითად ზია-ულ-ჰაკის დიქტატორული რეჟიმი, რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის ჟანდარმის როლს რომ ასრულებს. ამის შედეგად სერიოზული საფრთხე შეექმნა ინდოეთის, ეროვნულ ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

„მეჭს" რაკეტის გამოცდა

სან-ფრანცისკო. კალიფორნიის შტატის ვანდენბერგის სამხედრო-საჰაერო ბაზაში მოეწყო „მეჭს" საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის მეთერთმეტე საცდელი გაშვება. გამოცდამ, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლის თქმით, „წარმატებით ჩაიარა". გაშვება განხორციელდა „მინიტმენ" საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის დაცული გასაშვები შახტიდან, საბრძოლო ვითარებას მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში.

მაკპარტისტული ნოტებით

პრეზიდენტ რეიგანის მორიგი რადიომიმართვა

ვაშინგტონი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რეიგანი კვლავ ამწვავებს ნიკარაგუის საწინააღმდეგო ისტერიულ კამპანიას, რომლის საფარით ადმინისტრაცია ცდილობს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს გადააწყვეტინოს საკითხი კონტრრევოლუციური ბანდების დახმარებლად 100 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ.

ქვეყნისადმი მორიგ რადიომიმართვაში პრეზიდენტი უხეში ლანძღვა-გინებით დაესხა თავს სანდინისტურ მთავრობას. გაიმეორა ერ სტანდარტული ცილისმწამებლური მონაჭორები, მან სცადა საქმე ისეთნაირად წარმოედგინა, თითქოს ის, რომ ჭონგრესს არ სურს დაჰყვეს ადმინისტრაციის ზეგავლენას და დაუყოვნებლივ დაეთანხმოს 100 მილიონი დოლარის გამოყოფას ნიკარაგუის წინააღმდეგ. გამოუცხადებელი ომის მკვეთრი გაფართოების მიზნით, ამერიკელ კანონმდებელთა მიერ რაღაც „კომუნისტური საფრთხის უგულებელყოფის" ტოლფასი ყოფილიყოს. ამ განცხადებაში გამოსჭვივოდა მაკარტისტული ნოტები. კონგრესში ხმის მიცემის წინ კანონმდებლების „ხელის გრეხად" შეიფასა პრეზიდენტის ეს გამოსვლა ეი-ბი-სი ტელეკომპანიამ.

რადიომიმართვაში ნათქვამია, რომ შენდება რაღაც „ყველაზე გრძელი სამხედრო ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი ცენტრალურ ამერიკაში", რომელსაც „თითქოს შეეძლოს საბჭოთა ბომბდამშენების მიღება". მომრომბილელები ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ 1983 წელს, გრენადაში შეჭრის წინ, თეორი სახლის მეთაურს არაერთგზის მოუმბზეზებია ვაშინგტონში შეთითხნილი ანალოგიური საყალბე იმის თაობაზე, თითქოს კუბა და საბჭოთა კავშირი აგებდნენ კუნძულზე „სამხედრო აეროდრომს" დასავლეთ ნახევარსფეროში „აგრესიისათვის". მაშინ ეს მოჰყავდათ „არგუმენტად" რომელსაც უნდა გაეამართლებინა გრენადის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის მომზადება და რეალიზაცია. როგორც ცნობილია, მალე გამოიჩვა, რომ ეს აშკარა ტყუილი იყო.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ახლაც ამერიკელი კანონმდებლები აშკარა სკეპტიციზმით აღიქვამენ ადმინისტრაციის მეთაურის მტკიცებებს.

როგორც ახლანდელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა გამოსვლები მოწმობს, ცდილობს რა სხვადასხვა რეგიონში თავისი აგრესიული პოლიტიკა გაამართლოს, ვაშინგტონი სულ უფრო მეტად მიმართავს უხეშ ტყუილს, ფაქტების გაყალბებასა და ცრუმოწმეობას.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტ უ ლ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტ ი ს — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოთის ინფორმაც ი ი ს — 99-60-21, მწერალთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-32.

ახლო აღმოსავლეთი

ამერიკელი ემისრის ვიზიტი

კაირო. ამერიკის ტრადიციული „მაკოსებრი დიპლომატიის" ფარგლებში ახლო აღმოსავლეთში მორიგი ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის საქმეებში რ. მერფი. იგი ვიცე-პრეზიდენტ ჯ. ბუშთან ერთად ეწვია ტუნისს, შემდეგ გაჩერდა კაიროში, იქიდან კი ისრაელს გაემგზავრება. როგორც აქ გახდა ცნობილი, ამერიკელი ემისრის მიზანია „გააქტიუროს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგების პროცესი" ყბადაღებული „რეიგანის გეგმის" საფუძველზე, რომელიც გადაჭრით უარყო არაბული სახელმწიფოების უმრავლესობამ.

ამერიკის შეერთებული შტატები და ისრაელი არ მალავენ, რომ განზრახული აქვთ იარაღის ძალით მოახვიონ არაბებს თავს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგების სეპარატული გზა, ჩაითრიონ ამ პროცესში ახალი მონაწილენი, რათა მათი დახმარებით და არაბი ხალხების, უწინარეს ყოვლისა, პალესტინის არაბი ხალხის ინტერესების ხარჯზე მიაღწიონ ერთპიროვნულ ბატონობას ახლო აღმოსავლეთში და სპარსეთის ყურის ზონაში.

ფოტოფაქტი

ისრაელი ოკუპანტები სასტიკი ტერორის მეშვეობით ცდილობენ ჩაახშონ დაპყრობილ არაბულ მიწა-წყალზე მკვიდრი მოსახლეობის მასწრაფება თავისუფლებისადმი. ისრაელ ჯარისკაცებს მიღებული აქვთ საოკუპაციო ხელისუფლების ბრძანება გაუფრთხილებლად ესროლონ ყველას, ვინც საეჭვოდ მოეჩვენებათ. ამას წინათ, წერს ყურნალი „ალ-ჰავადისი", სამხედრო ადმინისტრაციამ გასცა ახალი განკარგულება, რომელიც ავალებს ისრაელ სამხედრო მოსამსახურეებს დროებითი დათხოვნის პერიოდშიც ატარონ პირადი იარაღი და დამდამბლავებელგაზიანი ბალონები. ამრიგად, აგრესორთა ჯარებმა მიიღეს თავიანთი „უფლების" ახალი დადასტურება — დაუსჯელად გაუსწორდნენ ყველა არაბს, რომლებიც მცირეოდენ უკმაყოფილებას გამოთქვამენ, დაარბიონ მოსახლეობა უცხო მიწა-წყალზე.

სურათზე: ჩხრეკა ალ-ფალილის ქუჩებში.

საკადრისი ფოტო.

ირან-ერაყის კონფლიქტი

ბაღდადი. ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის ცნობით, ერაყის ჯარები კვლავ უწევენ კონტროლს სამ სტრატეგიულ მაღლობს ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე მთიან რაიონში. ერაყის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, საგარეო საქმეთა მინისტრის თ. აზიზის განცხადების თანახმად, ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა ჩრდილოეთ სექტორში ირანის ჯარების მიერ მიტაცებული ტერიტორიის 95 პროცენტი გაათავისუფლეს.

ფაოს უბანზე არტილერია კვლავ ინტენსიურად უშენდა ცეცხლს ირანელთა პოზიციას, რის შედეგადაც მოწინააღმდეგემ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ზარალი განიცადა. ერაყის თვითმფრინავებმა 9 მარტს 335 საბრძოლო გაფრენა შეასრულეს. ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე მოსპეს ირანის ვერტმფრინავი.

სარდლობის წარმომადგენელმა დაადასტურა ერთი ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენის დაკარგვა.

ირანის შორსმსროლელმა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა სოფელ ხურმალსა და ქალაქ მანდალის გარეუბნებს, ნათქვამია კომუნიკეში.

ნიკოზია. ირანის საინფორმაციო სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ ფრონტის სამხრეთ უბნებზე გრძელდებოდა ბრძოლები ირტილერიის გამოყენებით. ირანის საჰაერო თავდაცვის საშუალებებმა ერაყს ორი თვითმფრინავი ჩამოუგდეს.

დასავლეთის მიმართულებით ირანის ჯარებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში ერაყელთა პოზიციებზე, რის შედეგადაც მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალის ზარალი მიაყენეს.

ლიტერატურული გაერთიანება „დან ულდუზუ"

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა . მდივანმა ამბ. ჯ. ი. პატიაშვილმა თქვა: „ბევრი რამ კეთდება ჩვენთან იმისათვის, რომ უკეთ გამოიყენონ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ქურთი, ბერძენი შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებმაც". ამის საფუძველზე, იმ შემოქმედ მუშაკთა პრაქტიკული დახმარების მიზნით, რომლებიც აზერბაიჯანულ ენაზე წერენ, საქართველოს მწერალთა კავშირთან შეიქმნა გაერთიანება „დან ულდუზუ" („ცისკარი"), რომელშიც რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში მცხოვრები ორმოცდაათამდე ახალგაზრდა ავტორია გაერთიანებული.

გაერთიანების პირველ სხდომაზე სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრმა აზიმ ისმაილიმ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც საქართველოს და აზერბაიჯანის მწერალთა კავშირები გეგმავენ და ახორციელებენ საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ ლიტერატორთა დასახმარებლად, აგრეთვე წაიკითხა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის, აზერბაიჯანის სახალხო მწერლის მირზა იბრაგიმოვის წერილი ქართველი მწერლებისადმი. მიმართვაში ნათქვამია: „საქართველოს მწერალთა კავშირთან „დან ულდუზუს" ლიტერატურული გაერთიანების შექმნამ გაგვახარა მე და ჩემი კოლეგები. ამასთან დაკავშირებით ვულოცავ გაერთიანების ყველა წევრს და ვუსურვებ ახალ შემოქმედებითს წარმატებებს. გვწამს, რომ ჯეროვან ყურადღებას დაუთმობთ თქვენი ნაწარმოებების შინაარსის სილამაზეს და ლიტერატურულ ხარისხს და თქვენ ქართველ კოლეგებთან ერთად გააფართოებთ კავშირურთიერთობას და დაწერთ წიგნებს რესპუბლიკის ცხოვრებაზე, მოწინავე ადამიანებზე და, რაც უმთავრესია, ჩვენი ხალხების მეგობრობაზე".

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი რომან მიმინოშვილი, რომელმაც თქვა, რომ გამომცემლობა „მერანს" განზრახული აქვს გამოსცეს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მწერლების ნაწარმოებთა კრებული. პროზაიკოსმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რევაზ მიშველაძემ ილაპარაკა ქართულ-აზერბაიჯანულ ლიტერატურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე. სხდომაზე გამოვიდნენ: მ. მამედოვი, ა. აბასოვი, ბ. მუნთიევი, მ. [illegible], ვ. მამედოვა, ბ. [illegible], ა. [illegible], ვ. მამედოვი, ა. სანგიარლი, ა. თაპლალი, ს. იუსიფოფლი და სხვა ლიტერატორები, რომლებმაც წაიკითხეს თავიანთი ახალი ლექსები და მოთხრობები, ქართველ პოეტთა ლექსების თარგმანები, მადლობა გადაუხადეს საქართველოს მწერალთა კავშირს დიდი ზრუნვისათვის.

ამ დღეებში „დან ულდუზუს" ლიტერატურული გაერთიანების წევრებმა ხალხთა მეგობრობის საღამო გამართეს მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობის მუზეუმში, მალე კი რუსთაველ მოსწავლეებს და მარნეულელ მშრომელებს ესტუმრებიან. „დან ულდუზუს" გაერთიანებას ხელმძღვანელობს მწერალი ა. ისმაილი. მეცადინეობა საქართველოს მწერალთა კავშირის დარბაზში იმართება ყოველი თვის უკანასკნელ შაბათს.

ე. მაჰმუდოვი,

საქართველოს სსრ სახტელერადიოს აზერბაიჯანული გადაცემების რედაქციის უფროსი რედაქტორი.

ინფორმაცია—86 ● ინფორმაცია—86

სამახსოვრო საღამო

მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის დიდი აკადემიური თეატრის სოლისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზ. სოტკილავა, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი, მ. გლინკას სახელობის ვოკალისტთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი ნ. გერასიმოვა, მოსკოვის კამერული გუნდი (მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი — რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ვ. მინინი). ფორტეპიანოს პარტიას ასრულებდა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ლ. შაბანოვი.

პირველ განყოფილებაში ზ. სოტკილავამ ჩვეული ოსტატობით შეასრულა დონატის, სკარლატის, კაჩინის, დურანტეს და პაიზიელოს ნაწარმოებები.

მეორე განყოფილებას განსაკუთრებული ელფერი შემატა ო. თაქთაქიშვილის ციკლმა „ლირიკული სიმღერები", რომელთა ნაწილი ქართული ხალხური სიმღერების იშვიათ კილოკავებზე არის შექმნილი. მშვენივრად მღეროდა ნ. გერასიმოვა, ხოლო ზ. სოტკილავამ კვლავ მოაჯადოვა ხალხთა სავსე დარბაზი უბადლო ხელოვნებით, სცენურობითა და ტემპერამენტით.

დ. მაჰავარიანი.

„კომუნისტის" საკ. კორ.

დირიჟორის დებიუტი

ქუთაისი. (საკ. კორ.). დავით მუქერიამ 1978 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საორკესტრო ფაკულტეტი. იგი უკვე საქართველოს სსრ დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის სოლისტია, მაგრამ მუშაობასთან ერთად კვლავ სწავლობდა კონსერვატორიის საოპერო-სიმფონიური დირიჟორობის ფაკულტეტზე (სსრ კავშირის სახალხო არტისტის ოდისეი დიმიტრიადის კლასში), რომელიც 1985 წელს დაამთავრა.

და აი, ახლახან ქუთაისში შედგა ახალგაზრდა დირიჟორის დებიუტი. დ. მუქერიამ უდირიჟორა ქუთაისის სიმფონიურ ორკესტრს. შესრულდა ბეთჰოვენის მე-5 სიმფონია და მისივე საფორტეპიანო კონცერტი № 5. ფორტეპიანოს პარტია შეასრულა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტმა ედიშერ რუსიშვილმა.

კულტურის სახლი წაღვმრში

ბორჯომი. (საკ. კორ.). დაბა წაღვერში ყოველწლიურად 5000-მდე კაცი ისვენებს და აქედან 1800 პიონერი და მოსწავლეა.

ახლახან დაბაში საეკსპლოატაციოდ გადაეცა ორსართულიანი კულტურის სახლი, სადაც არის კინოდარბაზი, საზაფხულო თეატრი და წრეობრივი მუშაობისათვის განკუთვნილი ოთახები. ამიერიდან ეს შესანიშნავი კულტურის კერა წაღვერელთა და დამსვენებელთა განკარგულებაში იქნება.

ცისფერი ალი სოფლად

გორი. (საკ. კორ.). ბეჯითად დაიწყო „საქგაზშენის" გორის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივმა ახალი სამეურნეო წელი, და აი, ყრილობის წინა დღეებში სოფელ მეჯვრისხევში დამთავრდა კიდეც მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა — ასობით ოჯახში აგიზგიზდა ცისფერი ალი. წლეულს მშენებლობა მთლიანად დამთავრდება და მთელ სოფელს — 1397 ოჯახს ბუნებრივი გაზი ექნება.

მშენებლებს შემჭიდროებული გრაფიკი აქვთ — წლის ბოლომდე უნდა გაიყვანონ გაზსადენი სოფელ შავშვებში და კასპის რაიონის სოფლების — ახალქალაქისა და დღესის მოსახლეობასაც მიაწოდონ ბუნებრივი გაზი.

საყრილობო საჩუქარი

ლენტეხი. (საკ. კორ.). კარგი საჩუქარი მიიღო საყრილობოდ მდინარე ცხენისწყლის ხეობის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობამ. საწარმოო გაერთიანება „სამთოქმიისა" და ცანის სამთოქმიფური კომბინატის მუშაკთა ინიციატივით, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური დახმარებით სოფელ ლაშხეთთან, მწვერვალზე დამონტაჟდა ორი მიმღები სატელევიზიო სადგური. რვა მაღალმთიან სოფელში აკიაფდა ცისფერი ეკრანი. ახლა აქ შეუფერხებლად იღებენ სატელევიზიო გადაცემებს თბილისისა და მოსკოვის ორივე პროგრამით.

პირველი კონცერტი

სამტრედია. (საკ. კორ.). ქალაქის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ გარეუბანში — ნაფაღაურში საზეიმოდ გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი კლუბი, რომლის დარბაზიც 200-ზე მეტ მაყურებელს იტევს.

კლუბის სცენაზე პირველი კონცერტი თვით ნაფაღაურელმა სცენისმოყვარე ახალგაზრდებმა გამართეს.

ახალმოსახლეობას იზეიმებენ

ხაშური. (საკ. კორ.). ქალაქის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს — მინის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის აშენდა ორი ოც-ოცბინიანი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ამ დღეებში ახალმოსახლეობას იზეიმებენ მშროშელთა ოჯახები.

ყაბალი

საქართველოს პირველობაზე

გუბინ თბილისში, ჰადრაკის სასახლეში დაიწყო საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 1986 წლის ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა), ეს შეჯიბრება საკავშირო პირველობის ერთ-ერთი საფეხურია. საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებულები ითამაშებენ საკავშირო პირველობის შესარჩევ ტურნირში, რომელსაც, თავის მხრივ, პირველ და უმაღლეს ლიგაში შეჯიბრებები მოსდევს.

13 მონაწილე ვაჟთან ერთად ასპარეზობს დიდოსტატი ნანა იოსელიანი, რომელიც შეჯიბრებაში წვრთნის მიზნით თამაშობს. გარდა ამისა, შეჯიბრებამ უნდა ცხადყოს, როგორია ამჟამად იმ მოჭადრაკეთა მზადყოფნა, რომლებსაც ამ ზაფხულს საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის მიღება მოელით.

საფეხურნირო ორგიტა

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ 1000 მეტრ დისტანციაზე ციგურებით რბენაში თბილისელმა **ინგა გილაურმა** ქალაქ დონგოგორსკის საციგურაოზე მეოთხე ადგილი დაიკავა. რაც შეეხება 1500 მეტრზე ასპარეზობას გილაურმა ამ სახეობაში უფრო მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა: იგი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

მაღლიოსნობა. ქალაქ აძიანში 15 წლის ჩინელმა გოგონამ ვანიანმა 5 კილომეტრზე სპორტულ სიარულში მსოფლიო მიღწეული დაამთავრა შეჯიბრება — 21 წუთი და 33,8 წამი.

კალათბურთი. კიევში გაიმართა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი მესამე ადგილისათვის. ადგილობრივმა „სტროიტელმა" უმასპინძლა ლენინგრადის „სპარტაკს" და დაამარცხა ანგარიშით 71:67. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა გაიმართება ლენინგრადში 13 მარტს.

ფარიკაობა. ქალაქ ბონიდან (გფრ) მოვიდა ცნობა, რომ მოხალავეთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე სსრ კავშირის ნაკრებმა მოიგო ექვსივე შეხვედრა (პოლონეთის, ბულგარეთის, საფრანგეთის, ესპანეთის გუნდებთან და მასპინძელთა ორ კოლექტივთან) და პირველ ადგილს დაეუფლა.

ცურვა. კიევში დამთავრდა სსრ კავშირისა და გდრ-ის მოზარდთა ნაკრება გუნდების ტრადიციული სამაჯრო შეხვედრა. ანგარიშით 208:174 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის მესამე შესარჩევი ჯგუფის ნაკრება გუნდების წარმომადგენლები შეთანხმდნენ მატჩების გამართვის თარიღებზე. გთავაზობთ ამ ჯგუფში მოსასპარეზე სსრ კავშირის ნაკრების კალენდარული მატჩების განრიგს: **1986 წლის 24 სექტემბერი.** სსრ კავშირი — ისლანდია; **11 ოქტომბერი.** საფრანგეთი — სსრ კავშირი. **29 ოქტომბერი.** სსრ კავშირი—ნორვეგია; **1987 წლის 29 აპრილი.** სსრ კავშირი — გდრ; **8 ივნისი.** ნორვეგია — სსრ კავშირი; **9 სექტემბერი.** სსრ კავშირი—საფრანგეთი; **7 ოქტომბერი.** გდრ — სსრ კავშირი;**28 ოქტომბერი.** სსრ კავშირი — ისლანდია.

რედაქტორი

გ. გედინეიშვილი.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

12 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — მულტფილმები. 9.10 — მოგზაურთა კლუბი. 11.10 — მხატვრული ფილმი „სახელმწიფო ავტომანსპექციის ინსპექტორი". 12.25 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.20 — საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 17.05 — ახალი ამბები. 17.10 — მშობლიური მხარის მელოდიები. 17.25 — დედამიწაზე, ცაში და ზღვაში. 17.55 — საოპერო სცენის ოსტატთა კონცერტი. 18.30 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 19.15 — მეცნიერება და ცხოვრება. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მომეჯირეობა და ვაჟრათანობა საერთო-პარტიული საქმეა. 20.30 — ახალი ამბები. 20.40 — მხატვრული ტელეფილმი „სოფიო კოვალევსკაია". პირველი სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — შეხვედრა აკადემიკოს დ. ს. ლიხაჩოვთან. 0.10 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15, 17.20, 21.30 და 0.10 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.35 და 10.35 — ისტორია. მე-10 კლასი. 10.05 და 13.10 — გერმანული ენა. 12.05 — პროფტექსსწავლებელთა მოსწავლეთათვის. 11.35 და 12.40 — მ. ა. შოლოხოვი. მე-6 კლასი. 12.05 — „მარტივი, რთული ჭეშმარიტებანი". ტელეეკურნალი მშობლებისათვის. 13.40 — ესთეტიკური აღზრდა. 14.25 — გაკვეთილების შემდეგ. ტელეეკურნალი. 15.10 — დრამატურგია და თეატრი. ლ. ნ. ტოლსტოი. პირველი ნაწილი. 16.05 და 19.00 — ახალი ამბები. 19.30 — მუსიკალური კითხვა. 20.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — კონცერტი. 22.00 „ვრემია". 22.40 — მხატვრული ფილმი „ფარული კენჭისყრა". 0.30 — ახალი ამბები.

თბილისი

12 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.10 — მოგზაურთა კლუბი (მ.). 11.10 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 11.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი". 13.15 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.45 — საინფორმაციო გამოშვება. 14.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ადამიანი — კაცობრიობისათვის". 16.05 —